**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 22/94**

(CPV-50100000; 50112000)
(გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად)

**ქ. თბილისი** **ივნისი 2022 წ.**

**ხელშეკრულების მხარეები**

ერთი მხრივ, ა(ა)იპ **„მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“** (ს/ნ 405026877) (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის, **ლაშა მაჭავარიანის**, სახით და მეორე მხრივ, **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“** (ს/ნ 204478948) (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **დავით გიორგობიანის**, სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებისა და „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი/ორგანიზაცია, რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს მომსახურების გაწევას.
1.6. „მომსახურება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული, ჰიუნდაის ფირმის ავტოსატრანსპორტო საშუალების Hyundai Ioniq HEV (სახ. ნომერი - CG767CG KMHC751CGKU13519; CG334CG KMHC851CGKU118890),თანმდევი საგარანტიო მომსახურებისა

(დანართი №1) და ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (დანართი №2) (CPV 50100000; 50112000) შესყიდვა.

2.2. ხელშეკრულების საგნის დეტალური აღწერილობა განსაზღვრულია ხელშეკრულების N1 და N2 დანართებით.

## 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **3433** (სამი ათას ოთხას ოცდაცამეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მომსახურების მიღება დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება და ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის უფლება ენიჭება შემსყიდველის საფინანსო და შესყიდვების სამმართველოს უფროსს - **ნუგზარ შარიქაძეს.**

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მიერ დაწესებულ გონივრულ ვადაში.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება **ეტაპობრივად წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) წარმოდგენის თარიღიდან - არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

5.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

5.4 ანაზღაურების წყარო - ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი.

## 6. მომსახურების გაწევის პირობები, ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **ეტაპობრივად,** შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში (ვადის ათვლა იწყება მოთხოვნის განხორციელებიდან მომდევნო დღეს).

6.2. მომსახურების გაწევის ვადა - მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2022 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.
6.3. მომსახურების გაწევის ადგილი - მიმწოდებლის სერვისცენტრი.
6.4. შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას განახორციელოს შესყიდული მომსახურების სრულად ათვისება.

## 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, მომსახურების განხორციელების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით ვალდებულების შესრულებამდე.
7.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
7.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების/ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს გაფრთხილების წერილს, რომელშიც განესაზღვრება ვალდებულების შესრულების დამატებითი ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. დამატებით ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა შესაძლებელია გაფრთხილებისა და დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე, კანონით დადგენილ შემთხვევებში.
7.5. შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით, მიმწოდებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხადოს ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით. შემსყიდველი თავისუფლდება პირგასამტეხლოს გადახდისგან თუკი აღნიშნული ვადის დარღვევა გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალეულობით.
7.6. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს სანქციის დაკისრების შესახებ შეტყობინების გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გაქვითვა განხორციელდება გადასახდელი თანხიდან.
7.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილება

8.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად“.

12.4. მხარეები ერთმანეთთან კომუნიკაციისთვის გამოიყენებენ შემდეგ ელექტრონულ ფოსტას: მიმწოდებელი nani@hyundai.ge შემსყიდველი nugzar.sharikadze@tbilisi.gov.ge; k.machitidze@msda.ge აღნიშნული ელ. ფოსტებიდან განხორციელებული მიმოწერა წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტაციას.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. № 29-29ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 405026877
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი - TRESGE22
სახაზინო კოდი № 070203

**უფროსის მ/შ**
**ლაშა მაჭავარიანი**

**მიმწოდებელი**

შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
მის: დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948
სს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ნ:GE96TB0600000360200182

**დირექტორი:**
**დავით გიორგობიანი**

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2022.06.28 11:13:32 +04'00'

Hyundai Ioniq 1.6 HEV A/T

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | ერთ.ფასი | მომსახურება | 2000 კმ | 12000 კმ | 22000 კმ | 32000 კმ | 42000 კმ | 52000 კმ | 62000 კმ | 72000 კმ | 82000 კმ | 92000 კმ | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთი | 100.00 | | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 | 100.00 | 1000.00 |
| 2 | ძრავის ზეთის ფილტრი | 20.00 | 15.00 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 35 | 350.00 |
| 3 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | 320.00 | 25.00 | | | | 345.00 | | | 345.00 | | | 345.00 | 1035.00 |
| 4 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | 220.00 | 25.00 | | | | | 245 | | | | 245 | | 490.00 |
| 5 | ჰაერის ფილტრი | 45.00 | | | | 45 | | 45 | | 45 | | 45 | | 180.00 |
| 6 | კონდენციონერის ფილტრი | 75.00 | 10.00 | | | | 85 | | | 85 | | | 85 | 255.00 |
| 7 | ანთების სანთლები | 300.00 | 48.00 | | | | | | 348 | | | | | 348.00 |
| | ჯამი ლარში: | | | 135.00 | 135.00 | 180.00 | 565.00 | 425.00 | 483.00 | 610.00 | 135.00 | 425.00 | 565.00 | 3658.00 |

მიმწოდებელი:

შემსყიდველი:

| HYUNDAI IONIQ HYBRID1.6 | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სათადარიგო ნაწილი / საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი ლარი | ერთეულზე მომსახურების ფასი ლარი |
| 1 | წინა ხუნდები | კომპლექტი | 320 | 25 |
| 2 | უკანა ხუნდები | კომპლექტი | 220 | 25 |
| 3 | წინა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 335 | 35 |
| 4 | უკანა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 410 | 50 |
| 5 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20 | – |
| 6 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 45 | 0 |
| 7 | სალონის ფილტრი | ცალი | 75 | 10 |
| 8 | საწვავის ფილტრი | ცალი | 120 | 150 |
| 9 | ანთების სანთელი | ცალი | 72 | 12 |
| 10 | ანთების ელექტრო კოჭა | ცალი | 250 | 30 |
| 11 | ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედი | ცალი | 170 | 80 |
| 12 | ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედის დამჭიმი | ცალი | 285 | 80 |
| 13 | ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედის ჰიდრავლიკური დამჭიმი | ცალი | 790 | 80 |
| 14 | ორმაგი გადაბმულობის ქურო | კომპლექტი | 2690 | 320 |
| 15 | ორმაგი გადაბმულობის საკისარი | ცალი | 470 | 320 |
| 16 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 450 | 50 |
| 17 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 360 | 40 |
| 18 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 115 | 50 |
| 19 | უკანა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 80 | 40 |
| 20 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 85 | 50 |
| 21 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 90 | 40 |
| 22 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 105 | 50 |
| 23 | წინა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 50 | 50 |
| 24 | უკანა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 50 | 50 |
| 25 | საჭის ღერძი | ცალი | 1410 | 175 |
| 26 | საჭის ღერძის ბორბალი | ცალი | 430 | 70 |
| 27 | საჭის ღერძის დაბოლოება | ცალი | 110 | 30 |
| 28 | საჭის ღერძის წევა | ცალი | 1256 | 40 |
| 29 | წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 460 | 70 |
| 30 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 60 | 80 |
| 31 | დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 55 | 80 |
| 32 | ბურთულოვანი სახსარი | ცალი | 115 | 40 |
| 33 | წინა მორგვი საკისარით | ცალი | 555 | 60 |
| 34 | უკანა მორგვი საკისარით | ცალი | 530 | 80 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 35 | მორგვის ჭანჭიკი | ცალი | 10 | 50 |
| 36 | საბურავის სამაგრი ქანჩი | ცალი | 10 | 0 |
| 37 | ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა) | კომპლექტი | 1350 | 60 |
| 38 | ყუმბარა გარეთა მხარე | ცალი | 910 | 80 |
| 39 | ყუმბარა შიდა მხარე | ცალი | 605 | 80 |
| 40 | გარეთა ყუმბარის სამტვერული | ცალი | 125 | 80 |
| 41 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული | ცალი | 115 | 80 |
| 42 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი | ცალი | 402 | 60 |
| 43 | ძრავის ქვედა სამაგრი | ცალი | 450 | 60 |
| 44 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 20 | 20 |
| 45 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 15 | 15 |
| 46 | წინა ღერო | ცალი | 105 | 30 |
| 47 | სიგნალი | ცალი | 70 | 75 |
| 48 | საქარე მინის საწმენდი | ცალი | 75 | 5 |
| 49 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 70 | 30 |
| 50 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 40 | 15 |
| 51 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 10 | 15 |
| 52 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 25 | 15 |
| 53 | გვერდითა ხედვის სარკე | ცალი | 610 | 35 |
| 54 | გვერდითა ხედვის სარკის მინა | ცალი | 95 | 15 |
| 55 | გვერდითა ხედვის სარკის ელ.მექანიზმი | ცალი | 195 | 35 |
| 56 | ჰიბრიდული ძრავის გადაბმულობის აქტუატორის სითხე | 1 ლიტრი | 25 | 50 |
| 57 | ძრავის ზეთი | 1 ლიტრი | 25 | |
| 58 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 80 | – |
| 59 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 17 | – |
| 60 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 17 | – |
| 61 | კონდიციონერის ფრეონი | 100 გრ | 65 | – |
| 62 | ძრავის ზეთის შეცვლა | კომპლექტი | – | 15 |
| 63 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | კომპლექტი | – | 100 |
| 64 | ანტიფრიზის შეცვლა | კომპლექტი | – | 50 |
| 65 | კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა | კომპლექტი | – | 60 |
| 66 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 15 |
| 67 | განშლა | კომპლექტი | – | 40 |
| 68 | საჭის მექანიზმის მოხსნა-დაყენება | ცალი | – | 175 |
| 69 | საჭის მექანიზმის აღდგენა | ცალი | – | 175 |
| 70 | კომპიუტერული დიაგნოსრირება | კომპლექტი | – | 40 |
| 71 | სავალი ნაწილის დიაგნოსტირება | კომპლექტი | – | 20 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 72 | წინა ყუმბარების გადაჭერა | კომპლექტი | – | 40 |
| 73 | ელექტრო სისტემის შეკეთება | მარტივი | – | 50 |
| 74 | ელექტრო სისტემის შეკეთება | საშუალო | – | 150 |
| 75 | ელექტრო სისტემის შეკეთება | რთული | – | 300 |
| 76 | სალონის საფენი | კომპლექტი | 190 | |
| 77 | მინების ელექტრო რეგულირების ღილაკები | ცალი | 325 | 50 |
| 78 | მინების ელექტრორეგულირების ღილააკის შეკეთება | ცალი | | 50 |
| 79 | წინა ბამპერის მოხსნა/დაყენება/აღდგენა/შეღებვა/პოლირების მომსახურება | | | 490 |
| 80 | უკანა ბამპერის მოხსნა/დაყენება/აღდგენა/შეღებვა/პოლირების მომსახურება | ცალი | | 1910 |
| | | | | |